



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 3 23 0001568274



16/11/2023

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ვიზუალური კომუნიკაციის“ საბაკალავრო
საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3¹ პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2023 წლის 25 აპრილს წარმოდგენილ იქნა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის № 04/04-180 წერილი (ცენტრში რეგისტრაციის - № 452016), რომლითაც დაწესებულებამ წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი „ვიზუალური კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე.

2.2. ცენტრის 2023 წლის 22 მაისის №575000 ბრძანების საფუძველზე, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მამიებლად. ცენტრის 2023 წლის 07 ივლისის №848283 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი „ვიზუალური კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით განახორციელა 2023 წლის 20 ივლისს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

--	--	--	--	--

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2023 წლის 03 ნოემბერს, სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება.

3. სარეზოლუციონაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 16 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:


1. დაკმაყოფილდეს იქნა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი № 1-ით გათვალისწინებულ "ვიზუალური კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "ვიზუალური კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2023 წლის 16 ნოემბრის №1564737 ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 3).
4. საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რჩევები:
 - სასურველია, პირველი კურსის ზოგიერთი ლიბერალური მეცნიერებების კურსი მეტად მორგებული იყოს ჰუმანიტარულ მეცნიერებაზე;
 - გააფართოვოს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები, რათა დაკმაყოფილდეს სტუდენტთა სურვილი, მიიღონ მეტი გლობალური გამოცდილება.

- უზრუნველყოს ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოსოციალური მხარდაჭერის სერვისები, სტუდენტების კეთილდღეობისა და აკადემიური წარმატებისთვის;
- სასურველია, უსდ-მ გაითვალისწინოს ევროკავშირის რეგულაციებში არსებული საავტორო უფლებების დაცვის პრინციპები და მოერიდოს წიგნების ან ნებისმიერი საინფორმაციო რესურსის არავტორიზებულ სკანირებას;
- ასურველია, საბიბლიოთეკო სერვისების მიერ გარანტირებული იყოს წვდომა იმ აკადემიურ მონაცემთა ბაზებზე, რომლებიც შეესაბამება ამ ფაკულტეტს/პროგრამას;
- ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველია, საბიბლიოთეკო სერვისების მიერ შემუშავდეს რამდენიმე ტრენინგ-მოდული ინფორმაციის მოძიებაზე, საინფორმაციო წიგნიერებაზე; ასევე აკადემიურ წყაროებსა თუ სხვა მასალებზე მუშაობაზე და ფართოდ გაეწიოს ამას პოპულარიზაცია სტუდენტებს შორის, რათა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს მათი უნარები საინფორმაციო წიგნიერების კუთხით;
- სასურველია, უნივერსიტეტის წლიურ ბიუჯეტში საბიბლიოთეკო ხარჯების გაზრდა, რაც შესაძლებელს გახდის საინფორმაციო რესურსების განახლებას;
- სასურველია მოხდეს აკადემიური პერსონალის ინფორმირება (წერილობითი უკუკავშირის საშუალებით) მათი შეფასების შედეგების შესახებ (როგორც დადებით, ასევე უარყოფით შემთხვევაში) და ამ პროცესის ფორმალიზება;
- სასურველია, კოლეგიალური შეფასების მიზნით, პროგრამა გადაეგზავნოს დარგის ექსპერტებს დაწესებულების გარეთ.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 16 ნოემბერს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატია რატი



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია



№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ვიზუალური კომუნიკაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N181, 04.12.2018
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	შემოქმედებითი ტური (პორტფოლიოს განხილვა)
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ვიზუალური კომუნიკაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება, Audio-Visual Techniques and Media Production
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კახა ბენდუქიძის კამპუსი დავით აღმაშენებლის ხეივანი N. 240 თბილისი 0159 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	
16	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2023 წლის 16 ნოემბერი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2030 წლის 16 ნოემბერი